№ 142

სამშაბათი, 15 ივლისი 1897 წ.

ფასი გაზეთისა:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი —ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877 — 1897

# ივერია

№ 142

სამშაბათი, 15 ივლისი 7981 წ.

რედაქცია: ნიკოლოოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

## ახალი ამბავი

—

⁂ კვირას, 13 ივლისს, სამრევლო-საეკკლესიო სკოლების მასწავლებელთ, აგრონომ ს. ტ. ტიმოფეევის წინამძღვარობით, საბოტანიკო ბაღი დაათვალიერეს, ხოლო გუშინ 14 ივლისს, სააბრეშუმო სადგურზედ, მუშტაიდში, მეაბრეშუმეობის და მეფუტკრეობის შესახებ ლექციების კითხვა დაიწყო.

⁂ კავკასიის რკინის გზის უფროსმა დეპეშა გაუგზავნა დორპატის უნივერსიტეტის დეკანს ლევენსონ-ლესსინგს, გვაცნობეთ როგორ უნდა მოეწყოს ტფილისში ჩამომსვლელ საგეოლოგო კრების წევრთა საზრდოობა რკინის გზაზედ, როდესაც რკინის გზას მხოლოდ 18 კაცისათვის აქვს მოწყობილი ბუფეტიო და წევრთა რიცხვი-კი გაცილებით ბევრად მეტიაო.

⁂ ამ ჟამად კავკასიის რკინის გზით მრავალი საქონელი იგზავნება ბაქოდგან ბათუმამდე და რკინის გზის გამგეობას ყველგან არა ჰყოფნის საქონლის დახურული ვაგონები. ამისათვის რკინის გზის მოძრაობის უფროსს ინჟენერს შაიკევიჩს ყველა სადგურის უფროსისათვის მიწერილობა გაუგზავნია, რომ საქონლის ვაგონები სადგურებზედ დაუყოვნებლივ დასცალონ ხოლმე და საჭირო ადგილას გაგზავნონ სამუშაოდ. უფრო დიდი საჭიროებაა ხსენებულის ვაგონებისა ფოთსა და ბათუმს შუა და ბაქოში.

⁂ კავკასიის საიმპერატორო სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭოს ამ ბოლოს დროს ერევნიდგანა და შუშიდგანაც მიუღია განმარტება იმისი, თუ რა და რა ადგილას არის საჭირო გზების შესწორება და გაყვანა. ყველა მხრიდგან იმას იწერებიან საზოგადოდ, რომ საზარალოა, როდესაც გზების გაყვანა შესწორებაზედ ადგილობრივ მცხოვრებთ ამუშავებენ, ბეგარაზედ გაჰყავთო.

⁂ დღეს, 15 ივლისს, კავკასიის რკინის გზის გამგეობა თავისს რევიზორს ბ-ნს დანილოვიჩს ჰგზავნის კახეთში, რომ იმ ადგილებში, სადაც განზრახულია მომავალმა რკინის გზამ გაიაროს, ადგილობრივ გამოიკვლიოს, რამდენი საქონელი გამოაქვთ, ან მიაქვთ კავკასიის სხვა-და-სხვა ადგილიდგან.

⁂ გუშინ, 14 ივლისს, ღამის 11 საათსა და 30 წამზედ გზათა მინისტრი თავადი ხილკოვი სანგაგებო მატარებლით ალსტაფასა დ: ყარაიაზისაკენ წავიდა, რომ მომავლის ყარსის რკინის გზის ლიანდაგი დაათვალიეროს.

⁂ სამეურნეო და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს შავი ზღვის პირის გუბერნიაში ქ. სოჭის მახლობლად აღმოჩენილ სამკურნალო წყლების გამოსაკვლევად სპეციალისტი გამოუგზავნია. იგივე სპეციალისტი გმაოიკვლევს მდინარე მაწესტისა და ანგურის მიდამოებს, რომლებიც თავისის ჰავით შესანიშნავნი არიან და რომლებიც სამკურნალოს გასამართად გამოდგებიან.

⁂ ფოთის ქალაქის თავი ბ-ნი ნ. ი. ნიკოლაძე დეპეშით ატყობინებს გაზ. „კავკაზს“, რომ გზათა მინისტრმა თავ. მ. ი. ხილკოვმა, მოისმინა რა ჩემი საჩივარი მატარებლების უწესოდ მიმოსვლის შესახებ და ამიერკავ. რკინის გზის უფროსის განმარტება, ბრძანაო: დააჩქარონ მატარებლების მოძრაობა ფოთის რკინის გზის შტოზედ. დაუყონებლივ გაამრავლონ რიცხვი მმოძრავ მატარებლებისა და აგრეთვე ბჭობა მოახდინონ თავად-აზნაურობის წინამძღოლისა, მაზრის უფროსებისა და ქალაქის მოურავის თანადასწრებით, რომ მთელის ამ მხარის საჭიროებისდა მიხედვით იყოს მატარებლე7ის მიმოსვლის ჟამი გაწესებული. ამასთანავე დაავალა, რომ რაც შეიძლება საჩქაროდ წარადგინონ იგი სამინისტროში.

⁂ თელავის მაზრის უფროსი ატყობინებს ტფილისის გუბერნატორს, რომ სოფ. ახალგავაზის მცხოვრებს ამას წინად მოსულმა სეტყვამ 19 ათასი მანათის ზარალი მიაყენაო. სეტყვამ თითქმის სულ გაანადგურა ვენახები და ბოსტნებიო.

⁂ ეს რამდენიმე ხანია, რაც კავკასიის მთავარ-მართებლის საგანგებო საქმეთა მოხელე მათის უდიდებულესობის კარის ეგერმეისტერი თავადი დ. ზ. მელიქიშვილი ბათუმშია წასული იქაურ პოლიციის საქმეთა სარევიზიოდ. თავ. მელიქიშვილს დაწვრილებით გაუცვნია პოლიციის ყველა საქმე და პოლიციის მოხელეთა მოქმედება. გარდა ამისა თავად მელიქიშვილს მოუსმენია და მიუღია სხვა-და-სხვა თხოვნები.

⁂ 13 ივლისს, ღამის 12 საათზე ვიღაცა უცნობი კაცი, ჩერქეზულად ჩაცმული ეტლით მივიდა კუკიის სასაფლაოსთან მინდორში და იქ მეეტლეს ეჩხუბებოდა და სცემდა. ამ დროს სასაფლაოს დარაჯმა პეტრე პონამარიოვმა დაინახა, მივიდა ახლო და დაუწყო გამოკითხვა უცნობს კაცს, რადა სცემ მეეტლესაო. უცნობმა მეეტლეს თავი დაანება და დარაჯს დაუწყო ცემა, მერე ხანჯალი იშიშვლა და ათ ადგილას დასჭრა. თუმცა ჭრილობა საშიში არ არის, მაგრამ დაჭრილი მაინც სამკურნალოში გაჰგზავნა პოლიციამ. უცნობი კაცი სადღაც მიიმალა. მეეტლემ ისარგებლა ამითი, რომ უცნობი კაცი პონამარიოვს ეჩხუბებოდა და გამოასწრო ქალაქისაკენ.

⁂ გუშინ-წინ, 13 ივლისს, დილის $11^1/_2$ საათზედ, ტფილისის სათავად-აზნაურო თეატრის ფოიეში ტფილისელ ქართველ დურგლებსა და სხვა ხელოსნებს კრება ჰქონდათ იმის შესახებ, რომ ამხანაგობა შეადგინონ და ჩარჩ-ვაჭრების მიერ შევიწროებულ მდგომარეობას თავი დააღწიონ. კრებას 60 მდე კაცი დაესწრო, ილაპარაკეს და ერთხმად განაცხადეს, რომ ასეთი ამხანაგობა აუცილებელს საჭიროებას შეადგენს და გარდასწყვიტეს შეადგინონ ამხანაგობა, რომელიც დურგლებსაცა და აგრეთვე სხვა ხელოსნებსაც მიიღებს წევრებად. საწევრო ფული თუმანი იქმნება და 3 მან. პირველდაწყებითი გარდასახადი, ამხანაგობაში შესვლისათანავე წარსადგენი, სულ 13 მან. ჯერ-ჯერობით ამხანაგობას მხოლოდ ის ექმნება აზრად, რომ დურგლების მდგომარეობა გააუმჯობესოს, შემდეგ მოქმედება ამხანაგობისა გაფართოვდება და დანარჩენ ხელოსანთა გაჭირვებულს მდგომარეობასაც მიექცევა ყურადღება. წესდების შესადგენადა და თავისს შორის საწევრო ფულის შესაგროვებლად 7 კაცი ამოირჩიეს და ხაზინადრად ჯერ-ჯერობით—ბ-ნი მ. ნასიძე. კრება 1-ლ საათზედ დაიშალა.

⁂ გაზ. „კასპი“-ს სწერენ პეტროვსკიდგან, რომ აქ ამ დღეებში ბელგიელი ინჟენერი ჩამოვიდა და და იმ ადგილებს ათვალიერებს, სადაც ნავთი არისო. აქედგან ინჟენერი ბაქოში წავა, შემდეგ ბათუმში და იქ სუფსის მახლობლად ნავთის ძებნას შეუდგებაო.

⁂ კავკასიის წყლების ინსპექტორმა შუამდგომლობა დაიწყო სამეურნეო სამინისტროს სადგილმამულო განყოფილების წინაშე, რომ ძეგვისა, თეძამისა და ტაისის (გორის მაზრაშია) საწყლე განყოფილებანი შეერთებულ იქმნენ ერთის ძეგვის საწყლე განყოფილების სახელით. მიზეზი ასეთის შუამდგომლობისა ის არის, რომ ხსენებულს ადგილებს ძალიან მცირე სარწყავი მიწები აქვს და მოხელეთა ჯამაგირები კი მეტად ავიწროვებს ადგილობრივ მცხოვრებს გლეხობასაო, სწერს გაზ. „ნოვ. ობოზრ.“-ე.

⁂ გაზ. „ჩერნ. ვესტ.“ რედაქციაში მიხეილ გაჩეჩილაძეს შორაპნის მაზრაში ნაპოვნი მარმარილოს ქვის ნიმუში წარუდგენია და უთხოვნია, რომ მცოდნე კაცებმა გამოიკვლიონ ხსენებულის მარმარილოს ღირსებაო.

⁂ სოფ. ქვემო-მაჩხაანი. ქიზიყის სახალხო დეპოს გამგეობა უკვე შეუდგა დეპოს წლიურ ანგარიშის მზადებასა და მალე გამოცხადებულიც იქნება დრო წევრთა საზოგადო კრებისა.

⁂ სოფ. სარო, (ახალქალაქის მაზრა). გაისმა თუ არა წელს, შავი ჭირი მძვინვარებს უცხო მხარეშიო, ჩვენკენაც დაფაცურდა ადმინისტრაცია, სანიტრები დაგვინიშნა, რომელთაც დავალებული აქვთ ყურადღება მიაქციონ სოფლის სისუფთავეს; მაგრამ საუბედუროდ, ჩვენს სოფელს არ ეღირსა დასუფთავება და უწინდელებრ გზებში დახოცილი შინაური ფრინველი ჰყრია, რომლებიც საში-

## ფელეტონი

—

### წერილი საფრანგეთიდგან.

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

პარიჟი და პროვინცია.—კონცენტრალიზაცია და დეცენტრალიზაცია.—საჯარო ლექციები პროვინციაში.—კლასების ბრძოლა.—გამარჯვება ვისია?

რკინის გზის ძარღვებთან შედარება ისე კარგად არა ქვეყანას არ შეეფერება, როგორც საფრანგეთს. იმის რუკაზედ დახედვის უმალ თქვენს ყურადღებას ერთი წერტილი მიიპყრობს. ამ წერტილში, როგორც დახატულ გულის სხემაში ძარღვები, ჩადის და აქედგან იწყება მთელის საფრანგეთის პირზედ ქსელსავით მოფენილი რკინის გზის მაჩვენებელი ხაზები. ეს წერტილი—გული საფრანგეთისა—პარიჟია. აქა ჰფეთქავს მთელის საფრანგეთის არსება. მისით განიზომება საფრანგეთის ავ-კარგიანობა და მაჯის ცემა. აქ იკრიბება და აქა ჰმოძრაობს საფრანგეთის არსებობისათვის საჭირო ცხოველ-მყოფელი სისხლი; რკინის გზებს-კი, ამ დღევანდელ ქვეყნების სხეულის ძარღვებს, გააქვთ ეს სისხლი სწრაფად ყველა შორეულსა და განაპირა ნაწილებში დასარიგებლად და აქ ხელმეორედ დატვირთულნი ადგილობრივად გამოუყენებელ და დასამუშავებელ ნივთიერებით, გულსავე უბრუნდებიან იმავე სამუშაოს გასამეორებლად. მაგრამ პარიჟს მარტო „გულობა“ როდი უკმარია, ქვეყნის „თავის ტვინობაც“ უკისრია. ამ ტვინის გასაუმჯობესებლად არასა ჰზოგავს პარიჟი. ამ აზრით აღარა შეურჩენია რა პროვინციისათვის და გონებრივი, ქონებრივი, პოლიტიკური, ხელოვნებური ძალა სულ თავისკენ გაუწოვია. დაიბადება თუ არა რომელიმე ამ ძალათაგანი პროვინციაში, პარიჟი მაშინვე შეეცილება. თვით ეს ძალაც, თითქოს არ ესიამოვნება პროვინციაში ყოფნაო, პარიჟისაკენ მიიწევს. მეცნიერები, საუკეთესო პროფესორები, ექიმები, არტისტები, პოლიტიკოსები, ჟურნალისტები სტუდენტები სულ პარიჟისაკენ მიისწრაფიან.

ადმინისტრატიულ მართვა-გამგეობის შესახებ ხომ აღარა ითქმის-რა, პარიჟია სულ. ცენტრალიზაცია იქამდის არის გამეფებული ამ მხრივ, რომ პროვინციას ადმინისტრატიულად ადგილობრივად საყურადღებო და საჩქარო საქმეების გაკეთება უუმაღლეს-მთავრობოდ, ე. ი. უპარიჟოდ არ შეუძლიან. პროვინციას დარჩენია მხოლოდ მეტის-მეტად წვრილმანი საქმეების მეთაურობა-და. ამიტომ ყოველს პროვინციაში სრული მყუდროება სუფევს. ყველა თავისს საკუთარს შინაურს საქმეებს მისცემია და სწორედ ამისი შედეგია საშინელად განვითარებული თავ-მოყვარეობა. პროვინციის ამ არა-სასიამოვნო მდგომარეობას, რომელსაც შეუძლიან მისი მავნებელ გზაზედ წარმართვა, ჰგრძნობს ყველა კეთილ შობილი საზოგადო მოღვაწე და ამის გამო ყოველ-წლივ აქა-იქ პროვინციებში ჩამოაგდებენ ხოლმე დეცენტრალიზაციის შესახებ ლაპარაკს. წელსაც გაისმა ზოგიერთ რადიკალურ გაზეთებში ამის გამო საუბარი, როდესაც შინაგან საქმეთა მინისტრმა საყოველთაო მიწერილობით მოიწვია პრეფექტები, მაცნობეთ რაგვარ საქმეების გარდაწყვეტა შეიძლება დეპარტამენტშივე, რადგან სამინისტრო აუარებელ საქმეთა გამო ხშირად ავვიანებს მეტად საჩქარო საქმეებსაო. მაინც და მაინც ჯერ ჯერობით გარდაწყვეტილი არა თქმულა-რა დეცენტრალიზაციის შესახებ. ბიუროსაც, რომელიც ამ საგნის შესამუშავებლად იყო დაარსებული, დღემდის არა გამოუქვეყნებია-რა.

ესტეტიკურად დასატკბობადაც-კი პროვინცია განსაკუთრებულს დარს ელის. ეს დარი მაშინ დაუდგება ხოლმე, როცა პარიჟში საესტეტიკო ტაძარნი იკეტება. მაშინ პარიჟის პირველ ხარისხის არტისტები დროგამოშვებით ეწვევიან ხოლმე პროვინციის ქალაქებს და ამით უღვიძებენ პროვინციელს ზამთრობით მიძინებულს გრძნობას.

მეცნიერები, ან რომელისამე საპოლიტიკო დასთა წინამძღოლნიც არ ივიწყებენ პროვინციას და ხან-და-ხან ეწვევიან ხოლმე. მიდიან, ჰმართავენ კონფერენციებს და ამითი პროვინციის მიწყნარებულს ცხოვრებას დროებით მაინც ასხვაფერებენ. მართლაც, იმათ მოსვლის დღეს ასე გეგონებათ, პროვინციის ქალაქმა გამოიღვიძაო. გაკრულ განცხადებათა წინ ჯგუფ-ჯგუფად ჰნახავთ ხალხს. საღამოზედ-კი ყველა ფეხ-აკრებით მიეშურებიან დანიშნულს ადგილას. არავის უნდა შემთხვევა დაჰკარგოს, რადგან იცის, რომ ხვალაც არ ექმნება ასეთი შემთხვევა. მაგრამ ხშირად მრავალი უადგილოდ დარჩება ხოლმე.

იმისდა მიუხედავად, რომ საფრანგეთში უნივერსიტეტის ლექციები საჯაროა ჴ ყველასათვის ადვილად ხელმისაწვდენი, იმ მიზეზით, რომ ეს ლექ-

ნლად ასუნიანებენ ჰაერს. ყველა სახლის წინ დაგროვილია საქონლის პატივი, მაგრამ სანიტარები ამას ყურადღებას არ აქცევენ; პირიქით, თუ მიიწვიეს სალხინოდ ეს ვაჟბატონები, ეტყვიან, ნუ გეშინიანთ პატივს ცოტა მიწა მოაყარეთ ზედ და პოლიცია ვერას გაგიგებთ, ამასთან ჩვენ თითონ გამოუძღვებით წინ და გავატარებთ იმისთანა ადგილს, სადაც ჩვენა გვსურსო და ავაცდენთ თქვენს კარ-მიდამოსაო. ურიგო არ იქნება ყურადღება მიაქციოს პოლიციამ როგორც სოფელს, ისე ამ ბ-ნ სანიტრებს.

*** ოდესსა. ამ ზაფხულს ქ. ოდესსაში დანიშნულია საზაფხულო საპედაგოგიო კურსები სამრევლო საეკლესიო მასწავლებელთათვის. 25 ივნისისათვის ყველა კუთხეებიდგან შეიკრიბნენ მასწავლებლები, რომელთა რიცხვი 100 კაცამდის ადის. მოწვეულნი არიან ხუთის ეპარქიის მასწავლებელნი: კავკავისა, გურია-სამეგრელოსი, სოხუმისა, კიშინევისა და ხერსონისა. კურსები გასტანს 10 აგვისტომდის. 28 ივნისს მისმა ყოვლად უსამღვდელოესობამ ხერსონის მთავარ-ეპისკოპოსმა იუსტინემ კურსების დაწყებამდე პარაკლისი გადაიხადა და საგულისხმიერო სიტყვა წარმოსთქვა. ლექციების კითხვა 30 ივნისს დაიწყო.

## საზაფხულო პედაგოგიური კურსები.

შაბათს, 12 ივლისს, დასრულდა საბაღოსნო სკოლაში ლექციების კითხვა მებაღეობა-მებოსტნეობისა, მევენახეობისა, ხეხილისა და ვაზის სხვა-და სხვა გვარს ავადმყოფობის და ხილის გაშრობა-შენახვის შესახებ. უკანასკნელი დღის დილა და მთელი საღამოც ლექტორებმა შესწავლილი საგნების გამეორებას მოახმარეს და თან გზა და გზა განმარტავდნენ ძნელად გასაგებს, ან სულ დავიწყებულ ალაგებს თავიანთის ლექციებისას. გამეორება გათავდა საღამოს 7 საათზედ, რომლის შემდეგაც სკოლის გამგემ ბ-ნმა კრავჩენკომ მიჰმართა მასწავლებლებს და ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა. ამ სიტყვაში ის აზრი იყო გატარებული, რომ სასკოლო ბაღს და ბოსტანს დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც მასწავლებელ მოსწავლეთათვის, აგრეთვე სოფლელებისათვის. აქ მუშაობამ უნდა შეაყვაროს ფიზიკური შრომა და თვალ-ნათლად დაუმტკიცოს, რომ ამ საქმეშიაც, როგორაც სხვა საქმეში, ცოდნა-გარჯა დიდად სასარგებლოა კაცისათვის. თქვენ ყოველივე ღონისძიება უნდა იხმაროთ ამ თავითვე, რომ დაუმტკიცოთ წესიერის სისტემის უპირატესობა, დაიმსახუროთ იმათი პატივისცემა და ჩვენც, შეძლებისა დაგვარად, დაგეხმარებითო.

ს. ნ. ტიმოფეევმა მსმენელებს ტკბილისა და ძმური სიტყვით ურჩია, რომ პირველ ხანად ძალიან ფრთხილად მოეკიდნენ საქმეს, რათა ხალხში აზრი არ გაიტეხონ, პატივისცემით მოეპყრან სოფლელების გამოცდილებასა და დაკვირვებას, რადგანაც კავკასიის ბუნება მეტად მრავალ-ფეროვანია და მარტო წიგნზედ დანდობა მეტად საფრთხილოა, გარდა ამისა, ამის შემდეგ უფრო ადვილი იქმნება თქვენთვის ჩვენის მეურნეების გაჭირება შეატყობინოთ იმ დაწესებულებათ, რომლებსაც სასოფლო მეურნეების ჭირისუფლობა აძევთ მოვალეობადაო.

ბოლოს ორიოდე სიტყვა წარმოსთქვა დაუღალავმა ლექტორმა ნ. ვ. ტურჩინსკიმ და ურჩია იქ მყოფთ, რომ ბევრს ნუ გამოეკიდებით პირველად, ცოტა გაიჩინეთ ბაღი იქნება თუ ბოსტანი, მაგრამ წესიერად იყოს, რაც იქნება; ხოლო თუ გინდათ, რომ თქვენმა შრომამ მეტი სარგებლობა მოიტანოს, ხალხს დაუახლოვდით, დაეხმარენით სამეურნეო გაჭირებაში და დარწმუნებულები იყავით, რომ თქვენ სიტყვას იმათთვის ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ექმნებაო.

საეპარქიო ზედამხედველმა ბ. ტატიშვილმა მადლობა გადაუხადა ლექტორებს. მასწავლებლები აღტაცებულნი გამოეთხოვნენ გულ-მოდგინე ლექტორებს. მადლობას დასასრული აღარ ჰქონდა.

დიდის მადლობის ღირსნი არიან ლექტორები, რომელნიც არავითარს საშუალებას არა ზოგავდნენ, რომ ყოველივე ნათქვამი მსმენელებს ღრმად ჩანერგოდათ გონებაში. ს. ნ. ტიმოფეევი კარგად იყენებდა ქართულს ენას, რომელიც იმას დაახლოვებითა სცოდნია. ის ხეხილის ყოველ გვარ ავადმყოფობას და წამლების სახელს ქართულად სთარგმნიდა, რაც ერთიორად აადვილებდა ნათქვამის დახსომებას. ასევე იქცეოდა ბ-ნი ა. ტურჩინსკიც.

ი. გ—ძი.

## სამრევლო სკოლის მასწავლებელთა კრება ქუთაისში.

ერთი კვირაა, რაც სამრევლო სკოლის მასწავლებლები იკრიბებიან ქუთაისში კურსებზედ დასასწრებლად ლექციებისა და სამაგალითო გაკვეთილების მოსასმენად. ამ ჟამად ქუთაისში ორასზე მეტი სამრევლო სკოლის მასწავლებელია შეკრებილი. სასიამოვნო სანახავია, როდესაც ეს პატიოსანნი მუშაკნი ხალხთა განათლების საქმეში, გულ-მოდგინედ ისმენენ ყველაფერს, რაც-კი შეეხება მასწავლებლობას, რომ ცოტად თუ ბევრად სწავლით აღჭურვილებმა უფრო ნაყოფიერად განაგრძონ ხალხში განათლების გავრცელება. ქუთაისში მოწვეულნი არიან გურია-სამეგრელოს და იმერეთის ეპარქიების სამრევლო სკოლის მასწავლებლები. ბინად ზოგნი სასულიერო სასწავლებლის შენობაში არიან და ზოგიც კერძო სახლში. ჩვენ დავესწარით მასწავლებელთა კრებას რვა ივლისს და მოვისმინეთ ლექცია პედაგოგიკისა, რომელსაც უკითხავდნენ სამრევლო სკოლის მასწავლებლებს, ორი სამაგალითო გაკვეთილი და ერთიც გალობის გაკვეთილი. ყველა ამან გასტანა 12 საათამდის, ამის შემდეგ სამ საათამდის მასწავლებლებს მოსვენება ჰქონდათ და შემდეგ ლექციები სამეურნეო საგნებიდგან და პრაქტიკულად სწავლება ფერმაში საბაღოსნო სკოლასთან. რადგანაც თავისუფალი დრო არა გვქონდა, ამიტომ სამეურნეო საგნების სწავლება არ მოგვისმენია, ვეღარ დავესწარით სამეურნეო საგნის ლექციებს, რომ სრული წარმოდგენა შეგვედგინა ახლად გამართულს მასწავლებელთა კურსებზედ.

რაც-კი ვნახე, საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო შემდეგი: ლექციამ, სამწუხაროდ, ვერც ჩემზედ და ვერც ბევრს სხვაზედ ვერ იმოქმედა სასურველად. ძნელი იყო გამოცნობა იმისი, თუ რა შეადგენდა საუბრის საგანს. ხშირად ლექტორისაგან გაიგონებდით ბევრს სხოლასტიკურსა და პარადოქსალურს აზრებს, რომლის ნიმუშს აქვე მოვიყვანთ: „საღმრთო რჯულის სწავლების დროს საჭირო არ არის აუხსნათ ბავშვებს შინაგანი აზრი საგნისა, მაგ.: „მამაო ჩვენოს“ სწავლების დროს შესაძლებელია აუხსნათ მხოლოდ სიტყვები „არსებისა“ და „ბოროტისაგან“. რასაკვირველია, ეს სხოლასტიკური აზრი არ მოეწონებოდა არცერთს სამრევლო სკოლის მასწავლებელს, რომელსაც „Объяснительная записка“ საღმრთო რჯულის სწავლებისა მაინც აქვთ წაკითხული, სადაც ცხადად არის ნათქვამი და დამტკიცებული ვისგანაც ჯერ არს, რომ ყველა სასწავლო საგანისა და საღმრთო რჯულის შესახებაც ცხადი წარმოდგენა უნდა ჰქონდეს ბავშვს, როგორც გარეგანის განმარტებით, ისე შინაგანის აზრის შეთვისებითაც. ჩვენ ეს ჭეშმარიტება საანბანოდ მიგვაჩნია და ამის გამო ლაპარაკსაც არ განვაგრძობთ; შემდეგი მარგალიტი პატივცემულის ლექტორისა იპყრობს სამდურავს ახალის სკოლებისას, სადაც ისეთს რასმე ასწავლიან თურმე მოსწავლეებს და ჰკარგავენ უბრალოდ დროს, რაც ბავშვებმა მასწავლებლებზედ უფრო გაცილებით კარგად იციან (?). ამ აზრის დასასაბუთებლად ლექტორმა მოიყვანა მაგალითად ძროხის აწერილობა და დასძინა, რომ ერთს გაკვეთილს ანდომებენ იმას, რომ ათქმევინონ ბავშვს სად აბია ძროხას კუდიო, რაც ბავშვმა ისეც კარგად იცისო. ჩვენ შეგვეძლო კიდევ ბევრი მარგალიტი ამოგვეკრიბა ლექტორის სიტყვებიდგან, მაგრამ საჭიროდ არ მიგვაჩნია.

სასურველია მხოლოდ, რომ შემდეგში დაცული იქმნას ჭეშმარიტი თანამედროვე შეხედულობა ყველა საგნისა და არ შეიქმნას ჩვენში „სტოლპიანიზმობა“, რომლის წინა აღმდეგ სახელოვანად იბრძოდნენ რუსების შესანიშნავი პედაგოგები და დიდი ხანია გაიმარჯვეს კიდეც. იმედია, რომ პატივცემული ლექტორი შემდეგში ეცდება ნამდვილი გონივრული აზრები აღზრდისა და სწავლის მხრით ჩაუნერგოს გულში სწავლით მაშვრალთ გამოუცდელ მასწავლებლებს.

დავესწარი აგრეთვე სამაგალითო გაკვეთილებსაც. პირველი გაკვეთილი მისცა პეტრიაშვილის სკოლის მასწავლებელმა ლ. ხმალაძემ, რომლის მეცადინეობამ ერთსა და იმავე დროს სამს განყოფილებაში კარგად იმოქმედა ყველაზედ. უმთავრესს ღირსებას გაკვეთილებისას შეადგენდა ის, რომ სრულიად დაცული იყო გაკვეთილზე თვით-მოქმედების წესები. ბ-ნ ხმალაძის გაკვეთილს დასწრებია წინა დღით მისი მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობა ეგზარხოსი ვლადიმირი, რომელსაც გაკვეთილი კარგად მოსწონებია. ბ-ნ ხმალაძის გაკვეთილს ცოტა მასწავლებლები დაესწრნენ, რადგანაც საკლასო ოთახში ბევრის დატევა შეუძლებელი იყო. მეორე გაკვეთილი მისცა ერთმა „ნორმალური“ სკოლის მასწავლებელმა. ყველას რომ თვალსაჩინოდ დაენახათ ეს სამაგალითო გაკვეთილი,—სკოლა გაიმართა მღვდელ-მთავრის ეზოში, დიდს ას წლოვან ხის ჩრდილში. მასწავლებელი თითონ მეცადინეობდა პირველს განყოფილებაში, ხანდახან მიაკითხავდა სხვა ორს განყოფილებასაც, მაგრამ, რადგანაც ამ ორს განყოფილებაში მთელის საათის განმავლობაში ბევრი არ გაკეთებულა რა, ამიტომ ამათ შესახებ არას ვიტყვი. რაც შეეხება პირველ განყოფილებას, რომელშიაც მეცადინეობდა მასწავლებელი, უნდა ვსთქვა, რომ ბევრი სამაგალითო ნიმუშები ვერც აქ შევნიშნეთ. მასწავლებელი ბავშვების მოყვარული უნდა იყოს. ეს ისეთი კარგი თვისებაა, რომ ამ გრძნობით აღჭურვილს მასწავლებლებს ბევრი ნაყოფის მოტანა შეუძლიან მოსწავლეთათვის. რაც შეეხება გაკვეთილს, იმას ბევრი რამ აკლდა, რაც ფრიად საჭიროა მისთვის, რომ მოსწავლე პირველ დღიდგანვე უცქერდეს სწავლას, როგორც რამე სერიოზულს და არა სიცილ-ტირილის გამომწვეველ საგანს. მასწავლებელი ხშირად

---

ციები საზოგადოდ დილით ან სადილის შემდეგ არის ხოლმე და ეს გარემოება-კი მოსაქმე ხალხს შეძლებას არ აძლევს დასწრებისას,—პროფესორები თავიანთ-თავად განსაკუთრებით სახალხო ლექციებსაც ჰმართავენ, რომლებიც უფრო საზოგადოდ ისტორიის და ლიტერატურის შეეხება. ამგვარ ლექციებს საზოგადოება ძალიან მცირე ესწრება. ყურის-მგდებლებს მომეტებულ ნაწილად ქალები და ხანში შესული კაცები შეადგენენ, ახალგაზდობა ძალიან მცირეა. ესენიც თხა-ცხვრებსავით განცალკევებულნი სამ ჯგუფად სხედან დარბაზში, რაც უცხო-ქვეყნელს ძალაუნებურად თვალში ეცემა. ამასაც თავისი მიზეზები აქვს, რომლის ახსნას საჭიროდ არა ვთვლით. ერთის შეხედვით შეატყობთ, რომ ეს ყურის-მგდებლები პატარა და საშუალო ბურჟუებს ეკუთვნიან.

მუშათაგან ამგვარ ლექციებზედ ვერავის ჰნახავთ. იმას ასეთი ლექციები საინტერესოდ არ მიაჩნია, იცის რა წინ და-წინვე, რომ უნივერსიტეტის კათედრიდგან და უნივერსიტეტის პროფესორისაგან დღეს პირდა-პირ თავისის ინტერესებისათვის გულის მოსაფხანს არას გაიგონებს; იმას ისევ მახლობელ ყავახანაში ან თავისს „წრეში“ წასვლა ურჩევნია, რომელიც საზოგადოდ ყავახანასთან არის ხოლმე დაწესებული. აქ ამხანაგებთა შორის თავს თავისუფლად გრძნობს. აქ თვითონ არის ჯერ ჯეროვნით ორატორიცა და ყურის-მგდებელიც, ან განა ცოტა რამე აქვთ სასაუბრო: გაზეთების (უგაზეთოდ ყავახანა არ არსებობს) წერილები, პარლამენტში მომხდარი ამბები, დეპუტატებისაგან წარმოთქმული სიტყვანი, ახლად წარსადგენი პროექტები და სხვ.-და-სხვ. ცხარე მუშაობის შემდეგ აქ თითქოს გრილდება მუშა, ფხიზლდება, იტყობს ყველაფერს, რაც ხდება იმის გარს და ისე ბრუნდება შინ. ამიტომ ყოველთვის დაინახავთ საღამ-საღამოობით ყოველ ყავახანის წინ პატარა მაგიდების გარს შემომსხდარს მუშებს, რომლებიც ვახშმის წინ ან შემდეგ გამოსულან დასასვენებლად. საზოგადოდ-კი უნდა ითქვას, რომ ყავახანას ოჯახისთვის ადგილი ჩამოურთმევია. მაგალითად, თუ რამე აქვთ მოსალაპარაკებელი, როდი მიიწვევენ ერთმანეთს ოჯახში. მოსალაპარაკებელი ადგილი ყავახანაა და სხ. მუშის დროს გასატარებელ სასმელს მომეტებულ ნაწილად შეადგენს ყავა, ლუდი და აფსენტი. ღვინოს მხოლოდ პურის ჭამის დროსა სვამს და ამასთან ძალიან ცოტაკი უნდა იყოს, რომ უიმისოდ პურის ლუკმა ჩაიდოს. მუშას თავისი დღიური ხარჯი გაზომილ-გამოანგარიშებული აქვს, რომელსაც იშვიათად თუ უღალატებს. ამიტომ ჩვეულებრივ დღეს მუშა ანგარიშზედ მეტს არ დაჰხარჯავს და, მაშასადამე, არც დალევს. „პატიჟი“ და „ჩამოსხმა“ ჩვეულებიდგან თითქმის სრულიად განდევნილა და, მაშასადამე, ის იმისი უსიამოვნო შედეგიც, რომლებიც ჩვეულებრივ „კალთების გლეჯვას“ მოსდევს ხოლმე. არ აქვს ადგილი არც იმ ერთი-ერთმანეთთან დამამცირებელ დამოკიდებულებასა და იმ სულელურ სახის გამომეტყველებას, რომელიც ამ შემთხვევაში იჩენს ხოლმე თავს. ყველას თავისი საკუთარი ჭიქა, საკუთარის ჯიბით ნაყიდი სასმელი უდგა, იგი თავისსუფალია, არავისაგან დამოკიდებული არ არის, რის თქმაც უნდა, დაურიდებლივ იტყვის. ეს ინდივიდუალიზმი აქაურ მუშისა ყოველგან გამოიხატება და ძვირადაც აფასებს მას იგი. ამითი აიხსნება, რომ მათს საუბარს ერთმანეთთან მუდამ პირდაპირი და პირუთვნელი ხასიათი აქვს, საზოგადოდ საღამოს ათის საათის შემდეგ ყავახანა უკვე დატოვებულია მუშებისაგან.

„წრეშივე“ იმართება ხოლმე დრო და დრო კონფერენციები სხვა-და სხვა საგნის შესახებ და განსაკუთრებითი ანუ საგანგებო კრებები ამა თუ იმ შინაგან პოლიტიკის საგანთა გასასჯელად, როცა ეს ამათაც შეეხებათ ხოლმე. (ქალაქის საბჭოს დეპუტატების არჩევანები და სხ.) აქვე აქვთ დაარსებული საკუთარი პატარა წიგნთ-საცავით, რომელიც განსაკუთრებით პაწია წიგნაკებისაგან შესდგება.

უქმე დღეს დროს გასატარებლად მუშა ქალაქ გარედ მიდის. ოჯახიანი მუშა თბილ უქმე დღეს იშვიათად თუ სახლში ჰსადილობს. დილიდგან საღამომდე მახლობელს ტყეში მიდის და, თუ მდინარეცაა იქვე, უსათუოდ ინესკავებს გასართობად.

მომავალი საზოგადო არჩევანები ახლოვდება. ყველა საპოლიტიკო დასი ცხარე ბრძოლის მოლოდინშია, რეაქცია და ოპოზიცია იმზადებენ ძალას. აქაც, როგორც ყოველთვის ოპოზიცია უფრო მეტს სიფხიზლეს იჩენს. თავისის სიფხიზლით მძიმესა და დარბაისელ რეაქციასაც ყურები შეაბერტყინა. ორივე მხარე გაცხარებით ადგენენ მომავალ ბრძოლის გეგმას. ყოველი დასი სცდილობს, რაც შეიძლება ნათლად დაანახვონ ეხლავე ქვეყანას თავისი გეგმა. პარლამენტის უკანასკნელმა უკულმართობამ დემოკრატიაში დიდი უკმაყოფილება დაჰბადა. რაკი პარლამენტმა ზურგი შეაქცია დემოკრა-

ეტანება ეფექტებს და ეს უშლის საქმეს. გაკვეთილზედ ტიროდა თითონ მასწავლებელი, ატირებდა მოსწავლეებსაც და ეს იწვევდა ხარხარს, როგორც მოსწავლეებისა, ისე დამსწრე მასწავლებლებისას. ამ ნაირად გამოდიოდა სწავლება-კი არა, რალაც კომედიისებრივი გართობა. ჩვენ სრულიად არა გვსურს ჩვენი წერილით ვაწყენიო ვისმე და ამიტომ ვიცით სამართლიანს შენიშვნას არც არავინ იწყენს.

მასწავლებელს უნდა ეჩვენებინა პირველი გაკვეთილი სკოლაში, ამისთვის აიღო სიტყვა ია და დაუწყო წვალება—დაყოფა ხმებად, გამოცდილს მასწავლებელს ეს არ ეპატიება, მან კარგად უნდა იცოდეს, რომ სიტყვების ხმებად დაყოფით პირველი გაკვეთილი არ დაიწყება. ამას სხვა სავარჯიშოები უძღვის წინ, როგორც მაგალითად: საუბარი სკოლის წესიერების გამო, წინადადების სიტყვებად დაყოფა და შედგენა, სიტყვების მარცვლებად და ამ უკანასკნელის ხმებად დაყოფა და სხ. ეს თანდათანობა რომ დაეცვა მასწავლებელს, არც გაკვეთილი გამოვიდოდა გაჯახირებული. ნაკლულევანებად უნდა აღვიაროთ ისიც, რომ სამაგალითოდ მიცემულს გაკვეთილებს არ არჩევენ. ამის გამო ბევრს მასწავლებელს არ ექნება რიგიანი შეგნებული სწავლების წესები, პირიქით, როცა არჩევენ რომელსამე გაკვეთილს მისი ღირსება ნაკლულოვანების ჩვენებით, კრიტიკულად განხილვით, მასწავლებელი უფრო კრიტიკულის თვალით დაუწყებს ყურებას როგორც სხვის მოქმედებას, ისე თავისს თავსაც და ეს საუკეთესო საშუალებაა წარმატებისათვის. სასურველია, აგრეთვე რომ გაკვეთილები მისცენ თითონ სამრევლო სკოლის მასწავლებლებმაც.

ყველაზედ უფრო ძნელ საქმედ მიაჩნიათ მასწავლებლის მეცადინეობა ერთს დროს სამს განყოფილებაში. ეს საქმე ძნელია მასწავლებლისთვის, რადგანაც ყურადღება დანაწილებული უნდა ჰქონდეს სამივე განყოფილებისათვის, რომელიც ძალიან ასუსტებს მასწავლებლის ნერვებს და ღლის კიდეც. მაგრამ ეს საშუალება, ესე იგი, ხშირი გადასვლა ერთის განყოფილებიდგან მეორეში და მეორიდგან მესამეში, საუკეთესოდ არის აღიარებული ყველგან სწავლების წარმატების მხრივ. ამას ნათლად დაინახავდა ყველა მასწავლებელი ხმალაძის გაკვეთილებიდგან.

გალობის გაკვეთილებს მასწავლებელთა კურსებზე ასწავლის სამეგრელო იმერეთში ცნობილი მეგალობე დიტო ჭალაგანიძე. ჩემს დროს ბატონი დიტო „რომელი ქერაბიმთას“ აგალობებდა. ეს საგალობელი ძალიან რთულია და ამის გამო გალობაც უჭირდათ, როგორც ეტყობოდა ერთისა და იმავეს რამდენჯერმე განმეორებით. ბ-ნ დიტოს წესად აქვს შემოღებული, რომ საგალობლები ასწავლოს ისე მიყოლებით, როგორც წირვაზე ითქმის. ამის გამო გალობის სწავლებაში არ არის დაცული ის წესი სწავლებისა, რომელიც მოითხოვს ჯერ ადვილისა და შემდეგ ძნელის საგალობლების შესწავლას. ის საგალობლები, რომელიც ერთის ხმით იწყება და ერთს კილოზედ იგალობება, შეიძლება ითქვას ერთი მეორეს მიყოლებით, აქ კილო საზოგადო იქნება, მხოლოდ სიძნელეს სიტყვების შესწავლა შეადგენს. ბ-ნი დიტო „რომელი ქერაბიმთას“ მხოლოდ სმენის საშუალებით აგალობებდა, მაშინ, როდესაც ნოტები დიტომაც კარგად უნდა იცოდეს და ცოტად თუ ბევრად არც მასწავლებლები იქნებიან უვიცნი ნოტებისა. ნოტებით სწავლა გალობისა უფრო ადვილია, რადგანაც, ყურის გარდა, იგი თვალებითაც ჰმოქმედობს ჩვენზედ, რის გამოც შეთვისება გვიადვილდება.

დიდი მნიშვნელობა აქვს მასწავლებელთა კრებას იმ მხრივაც, რომ შემთხვევა ნებას აძლევს მასწავლებლებს მოილაპარაკონ საზოგადო საქმეზე; დაამკვიდრონ ერთურთში მკვიდრი ერთობა, რომელიც შეადგენს ქვა კუთხედს ყველა საქმისას. არაფერს საქმეში ისე არაა საჭირო ერთობა, როგორც სწავლის საქმეში, ამიტომ სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ ის ამბავი, რომ გურია-სამეგრელო იმერეთის ყველა სამრევლო სკოლაში სახელმძღვანელო წიგნებად შემოღებული აქვთ ჩვენის პატივცემულის პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის წიგნები, რომლებიც როგორც სასულიერო მთავრობას, აგრეთვე სამრევლო სკოლის მასწავლებელთაც საუკეთესო სახელმძღვანელოდ მიაჩნიათ. სამწუხაროდ, სამინისტრო სკოლებში ყველგან არ არის შემოღებული მისი წიგნები, განსაკუთრებით „Русское Слово“, რომელიც ერთს საუკეთესო განძს შეადგენს რუსულს საპედაგოგიო მწერლობაში, განსაკუთრებით მეორე ნაწილი, რომელიც, როგორც გაზეთებიდგან ვუწყით, აფხაზეთის სკოლებშიაც უნდა შემოიღონ სახელმძღვანელოდ.

ლ. ბოცვაძე

# რუსეთი

—

გზათა სამინისტროს რკინის გზით საქონლის გადაყვან - გადმოყვანისათვის ყურადღება მიუქცევია და განუზრახავს ახლო მომავალში რაც შეიძლება გააუმჯობესოს წესი და რიგი საქონლის ერთი ადგილიდგან მეორეში გადაყვანისა. დღემდის, რამდენადაც ვიცით, რკინის გზა საქონლის გადამყვან მატარებლების მიმოსვლას დიდს ყურადღებას არ აქცევდა, ხშირად უბედურება ხდებოდა და საქონელი იხოცებოდა.

— სექტემბერში სრულიად გარდაწყდება, თუ ლომბარდებსა და მსესხებელს კასსებში შესანახად დაგირავებულ ნივთებზედ რაოდენად დიდი გარდასახადი იქმნება დადებული. ეს საქმე ამ ჟამად სასჯულო და შინაგან საქმეთა სამინისტროშია განსახილველად.

— იმპერატორის ალექსანდრე I-ლის გზათა ინჟენერების ინსტიტუტში შესვლის მსურველთა თხოვნების მიღება 1 ივლისს შესწყდა. სულ 700 თხოვნაა წარდგენილი I-ლისა და II კურსის თავისუფალ ადგილებზედ. პირველს კურსზედ სულ 100 ადგილია თავისუფალი, ხოლო მეორეზედ—5. საკონკურსო გამოცდა 14 აგვისტოს დაიწყება.

— ქ. ყაზანში საბაქტერიოლოგო ინსტიტუტი მომავალს წელს ოქტომბერში დაარსდება. ინსტიტუტის დასაარსებლად ამ ჟამად 42,000 მან. უკვე შემოსულია. რადგანაც ეს თანხა საკმარისი არ არის, ფინანსთა სამინისტროს წინაშე შუამდგომლობა დაუწყიათ, რომ 15,000 მან. დამატებითი თანხა კიდევ იქმნას გადადებული.

— ამ ჟამად ბერძენთა დაზარალებულ ოჯახობის სასარგებლოდ რუსეთში 32,778 მან. შეკრებილია. ეს ფული მთლად მისის უდიდებულესობის დედოფლის ოლღა კონსტანტინეს ასულისათვის გაუგზავნიათ, რომ ბრძოლის დროს დაზარალებულ ბერძენთა შორის იქმნას განაწილებული.

— განზრახულია მომავალის წლიდგან ფინანსთა სამინისტროს ყველა მოხელისათვის ფორმა იქმნას შეცვლილი.

# უცხოეთი

—

**ოსმალეთი.** ვენიდგან სწერენ გაზ. „Daily Telegraph“-ს: „თუ სულთანის მიერ ევროპის სახელმწიფოთა სურვილის განხორციელებამ რაიმე უთანხმოება ანუ ამბოხება გამოიწვია კონსტანტინეპოლში, ევროპის სამხედრო გემებს ერთის საათის განმავლობაში შეუძლიანთ 5,000 მეომარი გააჩინონ კონსტანტინეპოლში და ამ რიგად ყოველივე ამბოხება სათავეშივე მოსპონ“.

—

**ოსმალეთი და სპარსეთი.** ამ რამდენისამე ხნის წინად ოსმალეთსა და სპარსეთს შეტაკება მოუხდათ და, ზოგიერთის გაზეთების სიტყვით, შეიძლება ამ შეტაკებას ომიც მოჰყვესო. აი საქმე როგორა ყოფილა. სპარსელებს და ინდოელ შიიტებს ჩვეულებადა აქვთ მიცვალებული დამარხონ წმიდა ქალაქ კერბელაში. რასაკვირველია, ყველას შეძლება ნებას არ მისცემს მიცვალებული ამ სიშორეს წაიღოს, მაგრამ მდიდრები მაინც ფულს არა ჰზოგავენ და ყოველს წელიწადს აუარებელი მიცვალებული გადააქვთ. ამისთვის ცალკე ქარავანებია დანიშნული, რომელსაც ხალიჩებში შეხვეული მიცვალებული მიაქვთ და ჰმარხავენ. დამარხვის შემდეგ ამ ხალიჩებს იაფ-ფასად ჰყიდიან ხოლმე. რადგანაც კერბელა ოსმალეთს ეკუთვნის და შესაძლებელია მიცვალებულთ ინდოეთიდგან და სპარსეთიდგან შავი ჭირი გადმოჰყვეთ, ოსმალეთის მთავრობამ სასტიკად აღუკრძალა ყველას კერბალაში მიცვალებულის გადმოტანა ამ ერთს წელიწადს. ამ განკარგულებამ საშინლად გააბრაზა ოსმალეთის მოსაზღვრე სპარსელები და ამ დღეებში სპარსეთის ჯარი და აუარებელი ხალხი გადავიდა საზღვარს და როგორც კერბელა, აგრეთვე მეორე ქალაქი მეშედ-ალი დაიპყრო, ოსმალეთის მთავრობას, რასაკვირველია, სპარსელების ასეთი საქციელი არ მოეწონა და მინისტრთა ბჭობაზედ გადასწყვიტა მისწეროს სპარსეთს, რომ მან ჯარი უკანვე გაიწვიოს თუ ორი კვირის განმავლობაში სპარსეთი არ გაიწვევს ჯარს, ოსმალეთი ომს გამოუცხადებსო, ამბობენ გაზეთები.

—

**ავსტრი-უნგრეთი.** წინადაც გვქონდა მოხსენებული, რომ ავსტრი-უნგრეთის მინისტრ-პრეზიდენტის გრაფ ბადენის განკარგულებამ ჩეხთა ენის შესახებ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ავსტრიელთა შორისო. უკვე რამდენიმე თვეა მას შემდეგ გასული და ავსტრიელთ ჯერაც არ მოუსვენიათ. ყოველს საშუალებასა ჰხმარობენ, რომ ის უფლება, რომელიც გრაფ ბადენმა ჩეხთა ენას მიანიჭა, ჩამოართვან. ავსტრიელთა მიერ კრებების გამართვასა და სიტყვების წარმოთქმას, რომელშიაც ბადენისა და ჩეხთა განკიცხვის მეტი არაფერია, დასასრული არა აქვს. ავსტრიელები იმას სჩივიან, რომ გრაფ ბადენის განკარგულებას ენის შესახებ სლოვიანთა გაბატონება მოჰყვება ავსტრი-უნგრეთში და ავსტრიელებს, რომელთაც დააარსეს და გააძლიერეს სახელმწიფო, უკანასკნელი ადგილი ეჭირებათო. ნამდვილად-კი ასე არ არის. ბადენის განკარგულებით ჩეხთა ენა გათანასწორებულ იქმნა გერმანულ ენასთან იქ, სადაც ჩეხნი უმრავლესობას შეადგენენ, ხოლო სხვაგან გერმანულ ენას პირველი ადგილი უჭირავს. საკვირველი და ღირს შესანიშნავია ის, რომ ავსტრიელთა უსაფუძვლო ღაღადსა და ჩივილს ისეთი კაცები აჰყვნენ, რომელთაგანაც არავინ არ მოელოდდა ამას. გაზ. „Leipz. Tageb.“ იუწ-

---

ტიას, ამით იგი გამოაღვიძ-გამოაფხიზლა და პირი პარლამენტის მემარცხენეთაკენ აქნევინა. პარლამენტის მემარცხენეთა მომხრეები არ ჰკარგავენ არც დროს და არც გარემოებას. მემარცხენეთა წარმომადგენლებიც არ ჰზოგავენ დროს პროპაგანდისთვის და სცდილობენ დეპარტამენტში დაფანტულ მუშათა ფედერაციები მტკიცედ მოაწყონ საერთო საბრძოლველად. განსაკუთრებით შესანიშნავი ის არის ამ მოძრაობაში, რომ აქამდის თითქმის უყურადღებოდ მიტოვებული სოფლის მუშა დღეს ძალად ითვლება. ფედერაციის ადგილობრივი კომიტეტები სცდილობენ, რაც შეიძლება მტკიცე კავშირი იქონიონ თავისს ქალაქის მოძმეებთან. ბურჟუა ერთისა, ჟორესი და სხვ. მემარცხენენი მეორეს მხრივ დადიან დეპარტამენტიდგან დეპარტამენტში, სადაც ყველას აღტაცებით ეგებება დემოკრატია. ოპოზიციის ამ ჯერ-ჯერობით გამარჯვებას რეაქცია არამც თუ გულგრილად არ უყურებს, არამედ სცდილობს კიდეც იმისს ვნებას, რითაც კი შეიძლება. მაგრამ ეს შურის ძიება ჯერ-ჯერობით წვრილმანს საქმეებში გამოიხატება, მაგალითად ართმევენ ხოლმე საკონფერენციოთ ქალაქის რომელსამე შენობას, თეატრს და სხვ. (რასაკვირველია თუ ქალაქის თავი რეაქციონერია), ან კონფერენციის დროს რეაქციონერების აგენტები სცდილობენ ურიგობით დაუშალონ მეკონფერენციეს ლაპარაკი, ან ჩამოაგდებენ უწესოებას, რომ რომელიმე წარმომადგენელი შეიპყრან მხოლოდ იმ წუთისთვის და ამით „პროპაგანდას“ ხელი შეუშალონ, როგორც ეს არა ერთხელ უყვეს ჟორესს ალბში, როცა იგი თავის ამომრჩევლებთან მივიდა ანგარიშის მისაცემად. ერთს ტარნის დეპარტამენტის სოფელში, სადაც ჟორესი კონფერენციისთვის მივიდა, მისი მტრები ყვირილით რომ ვერას გახდნენ, ქვის სროლაც-კი გაბედეს. ამ გარემოებამ თვით რეაქციონერი გაზეთებიც-კი აალაპარაკა. ამისდა მიუხედავად, საკომფერენციო შენობები მაინც ვერ იტევენ მსმენელთ და ტაშის კვრას სამზღვარი არ აქვს.

როგორც ზევითა ვსთქვით, ოპოზიციამ თავისის სიფრთხილით დარბაისელი რეაქციაც შეატოკა, მისი ჩვეულებრივი თვით იმედოვნება და მედიდურობა შეარხია. მან თავისს პირდაპირ ძალა დაინახა და სწორედ ამ ძალის გასაქარწყლებლად ესეც შეუდგა მოწინააღმდეგე ძალის მოძებნას. მისმა წარმომადგენლებმა მდიდარ ვაჭრებისა და დიდრონ მწარმოებლების დახმარებით შეადგინეს კოალიცია, ჭ დაარქვეს: „კომიტეტი ერთვნულ რესპუბლიკელთა“. საინტერესოა, რა აქვს ამ კომიტეტს აზრად, ვალაპარაკოთ ამისთვის თვით მისი საყოველთაო განცხადება, რომელიც გამოსცა მან თავისს პროვინციელ და არა-პროვინციელ მომხრეთა შორის დასარიგებლად. „კომიტეტს აზრადა აქვსო, სწერია, კოოპერატიული მომზადება მომავალ 1898 წ. საზოგადო არჩევანებისათვის, ორგანიზაცია მარჯვე პროპაგანდისათვის სოციალისტთა და კოლექტივისტთა მოძღვრების წინააღმდეგ... ამიტომ გადავსწყვიტეთ რა მათ წინააღმდეგ ბრძოლა, უნდა ვეცადნენ გავლენა გვქონდეს მომავალ არჩევანებზედ სხვა-დასხვა პუბლიკაციებითა და კონფერანციებით, რომლისათვისაც დახელოვნებული რესპუბლიკელები გაიგზავნებიან ქვეყნის სხვა-და-სხვა მხარეს“*). განცხადებაში, სხვათა შორის, სთხოვენ როგორც პირადს, ისე ქონებრივს დახმარებას.

ერთის სიტყვით, ყველა დასი მზადეაშია. თითოეულს მათგანს იმედი აქვს გამარჯვებისა. მაგრამ ამ მომზადებათა გარეშე მდგარ კაცისათვის ძნელი არ იქნება იმისი შენიშვნა, თუ სასწორი საითკენ იწევს. რადგან დემოკრატიამ საზოგადოდ პირი პარლამენტის მარცხენისაკენ იქცია და ვისაც უნახავს ის აღტაცება, რომლითაც უხვდებიან და აცილებენ მის წარმომადგენლებს, იმას თავისუფლად შეუძლიან სთქვას, რომ მომავალ არჩევანებში გამარჯვება მემარცხენებისაა თუ საზოგადო რიცხვით არა, პროპორციონალურად მაინც, განსაკუთრებით კი რადიკალებისაა. როგორც დაამტკიცა სხვათა შორის ეს წრევანდელმა იანვარში სენატორთა ერთი მესამედის არჩევანებმა. არც საკვირველია, რადგან ისინი ჰპირდებიან „დღევანდელს კვერცხს“, რომელიც მომეტებულს ურჩევნია ხოლმე „ხვალინდელს ქათამს“, ეს დაპირებული „დღევანდელი კვერცხი“ კი მოკლედ პროგრესიულ გარდასახადის საქმეში ცვლილებათა მოხდენაა და კონსტიტუციის რევიზიაა.

ამ ჟამად რესპუბლიკის პრეზიდენტის რუსეთში მოგზაურობაზედაა ლაპარაკი, რომელზედაც დემოკრატიული გაზეთები წინააღმდეგობას აცხადებენ და უადგილოდ სთვლიან ამ დარბაზობას.

ნ. ა—ლი

ქ. მონპელიე.

*) ცირკულიარიდგან მხოლოდ მისი დამახასიათებელი ადგილებია ამოკრეფილი.

ყება, რომ გერმანიის უნივერსიტეტების 816 პროფესორი, რომელთა შორის ასეთი შესანიშნავი და გამოჩენილი მეცნიერნი ურევიან, როგორც კუნო-ფიშერი, ვირხოვი, გეკელი, მომსენი, რენტგენი და სხვანი, დაუწერიათ მოწოდება, რომელშიაც ავსტრიელთა მოქმედებას აქებენ და ურჩევენ მათ შემდეგშიაც ბრძოლას თავი არ დაანებონ. ამ მოწოდებაში დიდს თანაგრძნობას უცხადებენ ავსტრიელთ და ბოლოს დასძენენ: „ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ჩვენთან ერთად მთელის გერმანიის მცხოვრებელნი ამავე აზრისანი არიანო“.

## დამაკვირდი

ისტორიკოსი მისანია წარსულისა.

შლეგელი

* * *

სოფელი ღმერთმა შექმნა, ქალაქი—ადამიანმა.

კუპერი

* * *

ვინც ხელოვნებაში ჩვეულია სხვის უკან სვლას, იგი წინ ვერასოდეს ვერ მოექცევა. ვისაც კარგისა რისამე შექმნა თავისით არ შეუძლიან, იგი ჯეროვანად ვერ გამოიყენებს სხვის ნამოქმედარსაც.

ვინკელმანი

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

შვეიცარია მთიანი ქვეყანაა და ამიტომ, საფიქრებელია, რომ იქ ნაკლებად უნდა იყოს რკინის გზები, მაგრამ მიუხედავად ამ დაბრკოლებისა, ყოველ წელს შვეიცარიაში ახალ-ახალი რკინის გზები იმართება. რკინის გზა გაყვანილია უკვე რიგისა, პილატისა და სალევის მთის წვერებამდე. ეხლა-კი განზრახვა აქვთ რკინის გზა გაჰმართონ უდიდესის მთის იუნგ-ფრაუს წვერამდე. ალპიის მთებში, მონ-ბლანის შემდეგ იუნგ-ფრაუ უდიდეს მთად ითვლება.

რკინის გზას აკეთებს ინჟენერი ცელლერი. პროექტი ამ რკინის გზისა უკვე მოწონებულ იქმნა შვეიცარიის მთავრობის მიერ და მუშაობასაც მალე დაიწყებენ. ლიანდაგის კეთებას შეუდგებიან დაბა Scheidek-იდგან, რომელიც მდებარეობს გრინდელვარდ-ლოუტენბრუნის რკინის გზის ლიანდაგზედ. ახალი რკინის გზის ლიანდაგი სულ 11 ვერსის სიგრძე იქმნება და დაჯდება 10 მილიონ ფრანკად. ეს ამოდენა ფული იმიტომ დაიხარჯება, რომ ამ რკინის გზის გაკეთება მართლა რომ მეტად ძნელია, რადგანაც მრავალი გვირაბი უნდა გაკეთდეს, ყინულის ქვები და ლიანდაგი უნდა კლდეზედ დამყარდეს. ზოგიერთ ადგილებში გზა მთის გარშემო გაივლის და მგზავრს თვალ-წინ მშვენიერი სურათი გადაეშლება. პირველი გვირაბის დასაწყისი იქმნება ლიანდაგის მესამე ვერსიდგანვე; ეს გვირაბი $3^1/_2$ ვერსის სიგძე იქმნება. გვირაბის ბოლოს 3,220 მეტრის სიმაღლეზედ გამართულია კლუბი. ცოტა ხანს შემდეგ იწყება მეორე გვირაბი და აქედგან მატარებელი ისევ გ მოჰყოფს თავს 3,400 მეტრის სიმაღლეზედ. აქედგან მატარებელი ისევ გვირაბში შედის და ადის 4100 მეტრის სიმაღლეზედ. აქ ლიანდაგი თავდება, რადგანაც ამაზედ მაღლა ასვლა მატარებლით ყოვლად შეუძლებელია. მთის წვერამდე დარჩება მხოლოდ 66 მეტრი და ამ სიმაღლეზედ ხალხი უნდა ავიდეს მანქანით, რომელიც ჭახრაკებით არის მომართული.

ეს ახალი მატარებელი ელექტრონის ძალით ივლის, რადგანაც ყოვლად შეუძლებელია ორთქლმავალით სიარული გვირაბებში. ჯერ ერთი, მატარებელმა ბევრი წყალი და ნახშირი უნდა ატაროს და მეორეც, სხვა არა იყოს-რა მგზავრებს ბოლი ამოარჩობდა გვირაბებში. მთელი ლიანდაგი ისე იქმნება გაკეთებული, რომ ადამიანს ფეხითაც შეეძლოს ასვლა იუნგფრაუს წვერზედ. გვირაბები ელექტრონით იქმნება განათებული. მთის წვერზედ ტელეფონიც იქმნება. ვინ იცის, იქმნება გამბედავმა ანტრეპრენიორმა ოპერის თეატრიც გამართოს უმაღლესს მთის წვერზედ.

## სასარგებლოა თუ არა ბასტი

(ბატონ მოსულაშვილის პასუხი)

„ივერიის“ მე-121 №-ში იყო დაბეჭდილი წერილი „სასარგებლოა ფუტკრისთვის ბასტი თუ არა?“ წერილის ავტორი ბასტის (ანუ მამალის ფუტკარის) სარგებლობას ასაბუთებს იმ გარემოებით, რომ: „რომელშიაც ბასტი ჩავყარეთ, იმ სკაში მიემატა სითბო ბასტისაგან და ამის გამო მუშა ფუტკარი სამუშაოდ გაფრენილა“. მე, ბ-ნ თომა მოსულაშვილის საფუტკრეზედ დაკვირვების წინააღმდეგი არა მეთქმის რა, ვიტყვი მხოლოდ, რომ ამისთანა მომლოდნებას არა სასურველი შედეგის მოტანა შეუძლიან. ჩვენში ნელ-ნელა იკიდებს ფეხს გონივრული მეფუტკრეობა. მე თითონ მოწამე გახლავართ იმისი, რომ ჩვენკენ რამდენმამე შეიძინა საუკეთესო სისტემის სკები და დიდის შეგნებითაც აწარმოებენ ამ სასარგებლო დარგს მეურნეობისას. ყოველ ჩვენგანმა, ვისაც-კი ცოტაოდნად ესმის რამე ამ საქმისა, უნდა ხელი მოუმართოთ ამ სასარგებლო მოღვაწეთ და წავახალისოთ. თომა მოსულაშვილის წერილის წაკითხვის შემდეგ-კი ზოგიერთები შეცდომაში შევიდნენ და გაიძახოდნენ: „ნუ თუ მართლა მური ფუტკარი სასარგებლო ყოფილა, თაფლსაც კი ჰმატებს სკას და ჩვენ-კი ლანგსტროტ დადანის, დუბინის, ბუტლეროვის და სხვათა ნათქვამი ხალხსი ოქრო გვეგონაო.

ევროპიელი საუკეთესო მეფუტკრეები იმ აზრისანი არიან, რომ ბასტი არამც თუ არაფერსა ჰმატებს სკას, პირ იქით, ბევრ თაფლსაც აკლებს. სარგებლობა თუ მოაქვს რამე მური-ფუტკარს, ის არის, რომ დედო ფუტკარს ჰნერგავს და რადგანაც დედო ფუტკრის გასანერგავად მხოლოდ ერთი მურია საჭირო, საკმარისია სკაში ვიყოლიოთ სულ მცირე რიცხვი რჩეულის ბასტისა. მური ფუტკარი საჭიროა კიდევ იმ შემთხვევაში, როცა სკაში დიდი ჯალაბობაა მოთავსებული; ჭაერი ხშირად ფუჭდება სკაში და ამასთანავე ზაფხულას სიცხე აწუხებს ფუტკარს; ამ დროს სანათურის გასწვრივ რამოდენიმე წყობად გამწკრივდება შინ დარჩენილი მუშა ფუტკარი, მათ შორის ბასტიც და ჩქარის ფრთების ქნევით ჭაერს სცვლის სკაში: სკის წამხდარის ჭაერის მაგიერ ფრთების სწრაფის მოძრაობით შიგნით შეაქვთ გარეთი, სუფთა, მარგებელი ჭაერი.

მოსულიშვილის საშუალება, რომ ბასტის მიმატებით თაფლი ჰმატულობს სკაშიო, უხერხულია. ერთი წლიწადი ვკარჯიშობდი ტფილისის საბრეშუმო სადგურზედ, მთელის ამ ხნის განმავლობაში სადგურის საფუტკრე ჩემ ხელთ იყო და მაგისთანა საშუალება ერთხელაც არ გვიხმარია.

ამის გულისათვის, რომ მუშა ფუტკარი სამუშაოდ გავიდეს, სრულიად არ არის საჭირო ბასტის ჩაყრა სკაში, როგორც მოსულიშვილი ჰბრძანებს. თუ სკაში ჯალაბობა ფუტკრისა ღონიერია, თუ გარეთ უსახიჩრო დედო ფუტკარი ჰყავს და დარიც ხელს უწყობს მუშა ფუტკარს, შინ არ დარჩება და არც ისეთი უსინდისო და უგუნური გახლავთ, რომ მუშაობაზედ ხელი აიღოს,—ბოყვს (ფუტკრის ბარტყე) არ შემიცივდესო.

ეს თანამდებობა: შინაური საქმე და ბოყვის მოვლა, კარგად განწყობილს სკაში ახალს თაობას აბარია, რომელთაც არ შეუძლიანთ ჯერ გარეთ გამოფრენა ფრთების სისუსტისა გამო. ბასტის სკაში ჩაყრას ის არა სჯობიან, ნორჩი მუშა ფუტკარი მივუმატოთ სკას ხელოვნურის გამრავლებით. გამოჩენილი მეფუტკრე ლანგსტროტი, რომელსაც სამართლიანად უწოდებენ მეფუტკრეთა მამას, ჰლაპარაკობს, რომ დაეხმარნენ მუშა ფუტკრებს ბასტის ხოცვაში, რადგანაც იმას კნებისა და ზარალის მეტი არაფერი მოაქვს.

სხვათა შორის ლანგსტროტს ბევრი საშუალება აქვს ჩამოთვლილი, რომ, რაც შეიძლება სკას ბევრი თაფლი შემატოთ და უპირველეს საშუალებად ბასტის გაწყვეტას ასახელებს, მური ფუტკრის ბოყვის თავების დაჭრას და სამური ფიტის სკიდგან ამოღებას.

ჩვენ დიდად გაგვაკვირვა თომა მოსულიშვილის დაკვირვებამ, რომ დადანის სკა კარგად ვერა გვარობსო. სასურველია ვიცოდეთ, რით ხელმძღვანელობს იგი. დადანის სისტემა საუკეთესო სკად ითვლება ეხლანდელ მეფუტკრეობაში და თუ ამ სკამ მხოლოდ იმის ხელში არ ივარგისა, დიდად დაგვავალებს, თუ ამასაც გამოაცხადებს.

მეფუტკრე შაქრო ჯავახიშვილი

სოფ. ხოვლე

## ახალი წიგნები

რედაქციამ მიიღო ახალი წიგნი: „ჩვენს ქალებს“, ქ-ნ შტარის წერილები, თარგმანი ივანიდიდელისა და გამოცემა მიხ. ხელაძისა ივ. როსტომაშვილის რედაქციით. წიგნი შეიცავს თოთხმეტ თავს და დაწვრილებით განიხილავს ეგრედ წოდებულ ქალების ემანსიპაციას, ე. ი. დამოკიდებულებისაგან განთავისუფლებას და მის მისაღწევ გზა საშუალებათ. თუ არ ვცდებით, ეს წიგნი პირველია ამგვარ გამოცემათა შორის ჩვენს ენაზედ ქალების შესახებ.

წიგნი სხვათა შორის განიხილავს იმ საგანსაც, თუ რა გვარი სკოლები სჭირიათ ქალებს საზოგადოდ. წიგნი ლამაზათ არის გამოცემული და ღირს (96 გვ.) 20 კაპ.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

13 ივლისი.

**ლონდონი.** „ტაიმსს“ ატყობინებენ კონსტანტინეპოლიდგან: „სულთნის ბრძანება პრინციპიალურად ახალის საზღვრების წინააღმდეგი არ არის იმ მოსაზრებისა გამო, რომ საზღვრებში კუცოვლახთა მრავალი სოფელი მოექცევა. კონფერენციამ პირველ-დაწყებითის მშვიდობიან მორიგების პირველი მუხლი უკვე დაადგინა. ამ მუხლის ძალით საზღვარი ისე იქმნება დადებული, როგორც სამხედრო აგენტებს ჰქონდათ განზრახული. პორტა მხოლოდ იმ მოსაზრებით აცხადებს ამ მუხლის შესახებ თანხმობას, რომ იმედი აქვს ამ მუხლში მისდა სასარგებლოდ ზოგიერთი ცვლილება იქმნება შეტანილი. ამ მუხლების გამოსარკვევად დღეს სხდომაა დანიშნული კომისიისა, რომელიც სამხედრო აგენტებისა, ოსმალეთისა და საბერძნეთის რამდენისამე ოფიცრისაგან შესდგება.

**პარიზი.** საბიუჯეტო კომისიამ ზღვის ხარჯთ-აღრიცხვა განიხილა და ის გადაწყვეტილება დაადგინა, რომ მთავრობამ თავისი პროექტი ფლოტის გადაკეთების შესახებ შესცვალოს და ფლოტი უთუოდ სამის თვის განმავლობაში გადააკეთოს.

**კონსტანტინეპოლი.** მშვიდობიან მორიგების შესახებ მოლაპარაკება ჯერ კარგად მიდის. იმედი აქვთ მომავალს კვირაში მთლად დაასრულონ მოლაპარაკება. 12 ივლისს, ბუიუკდერეს ჰქონდათ ბჭობა ელჩებს, შემდეგ თოფ-ხანაში მოხდა ზავის შესახებ მე-12 სხდომა.

**ვაშინგტონი.** საგზაო გარდასახადთა შესახებ წინადადებას მაკ კინლეიმ ხელი მოაწერა.

14 ივლისი.

**ბელგრადი.** მინისტრ-პრეზიდენტმა სთქვა, რომ სერბიის ელჩის კონსტანტინეპოლში თავ-გამოდებულის მოქმედების შემდეგ პორტა მიიწერა მონასტირში და სალონიკში სერბიის სკოლები დაარსებულ იქმნას. მიუხედავად მისა, რომ საპატრიარქო წინააღმდეგი იყო, უსკუბსის საქმის შესახებ რუსეთმა ურჩია ზომიერების დაცვა და აფრთხილებდა მწვავლებლობის წინააღმდეგ. ამ ბოლოს დროს საპატრიარქო თანახმაა ისეთს შერიგებაზედ, რომელიც სერბიის ხალხს დააკმაყოფილებს. იმის იმედიც არის, რომ სერბთა ეროვნება მალე იქმნება აღიარებული. გრესიჩი მადლობელია მთავრობისა დაუღალავი შრომისათვის, რუსეთის—მხარის დაჭერისთვის, ჩერნოგორიისა—ძმურის ერთ ურთი მოქმედებისათვის. სკუპშინას სესია დაიხურა.

**ჯედდა.** შაჰი-ჰირი უკვე მოისპო. 20 დღეა აღარავინ გამხდარა ავად.

**ფილიპპოპოლი** ბოიჩევის საქმე. მოწმების ჩვენება დასრულდა. ორშაბათს წარმოთქმული იქმნება უკანასკნელი სიტყვები და შემდეგ, უთუოდ, განაჩენი იქმნება წაკითხული.

**კონსტანტინეპოლი.** 14 ივლისს შესდგება მე 13 კრება ზავის შესახებ პირობებზე მოსალაპარაკებლად. ჯერ კიდევ ზოგიერთი მუხლი უნდა იქმნას განხილული. ზავის დადებას, უთუოდ, ორი კრება კიდევ დასჭირდება.

## წერილი რედაქციის მიმართ

გულითადს მადლობას ვუცხადებთ ქ. სოხუმში მცხოვრებთ, რომლებმაც შემოსწირეს რწმუნებულს ჩემდამო ქვედა ბახვის ზედმიწერილს წმ. მარინეს ეკკლესიას ნივთი და ფულები. აი, შემომწირველების სია: დოდო თენიეიშვილმა ერთი წყვილი დროშა, ღირებული 20 მან., ლიზა თენიეიშვილისამ—10 მ., თეოდორა ერქომაიშვილისამ—5 მ., ნინა ერქომაიშვილისამ—5მ., ივანე ბურჯულაძემ—1 მ., ალექსანდრე გაბუნიამ—1 მ., ჯაბა ტუღუშმა—1 მ., კარპეზ წეროძემ—1 მ., ნატალია ხომერიკისამ—2 მ., ოლღა თენიეიშვილისამ—2 მ., გიგო თავაძემ—1 მ., იაკობ ჭანაყვაძემ—1 მ., ილარიონ ხომერიკმა—1 მ., ილიკო შათირიშვილმა—1 მ., მელიტონ ღლონტმა—50 კ., მალაქია მერღულიძემ—50 კ., გიორგი დოლიძემ—60 კ., იაკობ ნარაკიძემ—20 კ., ისიდორე რევიამ—20 კ., სამსონ გაბუნიამ—20 კ., კოსტა ნაჭყეპიამ—20 კ., არტემ შავიშვილმა—20 კ., ბენედიკტ ბაკურაძემ—20 კ. და პლატონ ხაფთასმა—20კ. სულ ფულად 35 მ. და ნივთი 20 მ.

ბლაღოჩინი მღვდელი დ. ქიქოძე

# განცხადებანი

## იყიდება

კვირაცხოვლისა და „ობშჩესტვენი“ ქუჩაზედ, პოლიციის მე-5 ნაწილში ცალიერი ადგილი 70 ოთხ-კუთხი საჟ. საშენობო მასალით.

მსურველმა მიჰმართოს: დიდ „ვოდოვოზნი“ ქუჩაზედ, აივაზოვის სახლის ეზოში ე. თ.

(7—183—4)

ახლად გამოვიდა და ისყიდება

## ფაბიოლა

ანუ წინანდელი ქრისტიანები

გამოცემა უდაბურ წყალწმიდის მმობისა, თარგმანი ა. ნიკიტინისა.

წიგნი 68 გვერდია და ღირს ერთი შაური.

ისყიდება ტფილისის ყველა წიგნის მაღაზიებში. ტფილისს გარეთ: ოზურგეთში თავართქილაძესთან, მაჩხაანში დ. ნადირაძესთან, ბორჯომში მ. სალარიძესთან, თელავში ილ. იმერლიშვილთან და სურამში არშაკ შულაროვთან.

ძვირფასი ნივთი ოჯახობაში

იბეჭდება და მალე გამოვა სამეცნიერო წიგნი

„ექიმი“

რომელშიაც მოთავსებულია ვარსკვლავთ-მრიცხველობა, საიდუმლო სიზმრები ცოლ-ქმრობისა, ძველი ფილოსოფოსთა ოქმულებანი, უებარი წამლობანი და სხვა მრავალი ამისთანა.

ძველი სომხურიდგან ქართულად ნათარგმნი ქ. ტოსჯანიანცის მიერ.

(3—4—2)

Дозволено цензурою, Тифлисъ 1-го Іюля 1897 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.